განმარტებითი ბარათი

„2019 წლის 9 დეკემბრის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა) №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების“ თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 4 დეკემბრის №2498 განკარგულებისა და საქართველოს პრემიერ- მინისტრის 2019 წლის 4 დეკემბრის №501 ბრძანების შესაბამისად, 2019 წლის 9 დეკემბერს ხელი მოეწერა „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმებას (ჩვეულებრივი ოპერაციები) (საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა)“ (შემდგომში „სასესხო შეთანხმება“), რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 მარტის №5781-IIს დადგენილებით.

აღნიშნული სასესხო შეთანხმების ფარგლებში ADB-მ საქართველოს გამოუყო სესხი 13,550,000 ევროს ოდენობით, რომლის ფინანსური პირობებია:

- სესხის თანხა: 13,550,000 ევრო;
- სესხის ხანგრძლივობა: 15 წელი (მათ შორის შეღავათიანი პერიოდი 3 წელი);
- საპროცენტო განაკვეთის ტიპი: 6 თვიან EURIBOR-ზე დაფუძნებული ცვლადი საპროცენტო განაკვეთი (EURIBOR-ს +0.5%) (2026 წლის 2 თებერვლის მდგომარეობით EURIBOR შეადგენს 2.154 %-ს).

აღნიშნული რესურსით ძირითადად ფინანსდება პროექტების ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ჩატარება, სოციალური და გარემოსდაცვითი გარემოებების დეტალური შესწავლა, საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და სხვა.

სასესხო შეთანხმების შესაბამისად, PRF-ის განმახორციელებელ უწყებად განსაზღვრულ იქნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საავტომობილო გზების დეპარტამენტის, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის და საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მეშვეობით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია თბილისის განვითარების ფონდის მეშვეობით და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს მეშვეობით.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 26 ოქტომბრის №1910 განკარგულებისა და საქართველოს პრემიერ მინისტრის 2023 წლის 26 ოქტომბრის №192 ბრძანების შესაბამისად, 2023 წლის 31 ოქტომბერს ხელი მოეწერა სასესხო შეთანხმების №1 ცვლილების წერილ-შეთანხმებას, რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 13 დეკემბრის №3908-XIIIმს-Xმპ დადგენილებით.

ზემოაღნიშნული №1 ცვლილების წერილ-შეთანხმება ითვალისწინებდა PRF-ის განმახორციელებელ უწყებად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დამატებას და ასევე, PRF-ის შემსრულებელ უწყებად სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს დამატებას. №1 ცვლილების წერილ-შეთანხმებით ასევე გათვალისწინებული იყო სესხის დახურვის თარიღის გაგრძელება 2025 წლის 30 დეკემბრამდე (ნაცვლად 2023 წლის 30 დეკემბრისა) და PRF აქტივობების დასრულების თარიღის გაგრძელება 2025 წლის 31 აგვისტომდე (ნაცვლად 2023 წლის 31 აგვისტოსი).

ამ ეტაპზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, სასესხო შეთანხმების ფარგლებში, სსიპ - სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს

კომპონენტში გათვალისწინებული შესყიდვების უმრავლესობა, შესყიდვების გეგმის თანახმად, რომელიც განახლდა და დამტკიცდა 2024 წლის აპრილში, დაგეგმილია ხარისხსა და ფასზე დაფუძნებული შერჩევის (QCBS) მეთოდის გამოყენებით. აღნიშნულმა პროცედურებმა მოითხოვა დაგეგმილზე მეტი დრო. ასევე, თავდაპირველად ჩატარებული ზოგიერთი ტენდერი, მონაწილეთა დაბალი კონკურენციისა და ზოგ შემთხვევაში ტექნიკური დავალების ცვლილების გამო, ADB-სთან შეთანხმებით, ჩაიშალა ან დასრულდა უარყოფითი შედეგებით, რის გამოც, მიმდინარე პროგნოზით, პროექტების მნიშვნელოვანი ნაწილის განხორციელება (როგორც დაკონტრაქტებული, ასევე დაგეგმილი) სცდება სესხის დასრულების ამჟამინდელ ვადას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭირო გახდა სესხის დახურვის თარიღის გაგრძელება 33 თვით 2028 წლის 30 სექტემბრამდე (ნაცვლად 2025 წლის 30 დეკემბრისა), და ასევე PRF აქტივობების დასრულების თარიღის გაგრძელება 2028 წლის 31 მაისამდე (ნაცვლად 2025 წლის 31 აგვისტოსა).

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 10 თებერვლის №318 განკარგულებისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2026 წლის 10 თებერვლის №18 ბრძანების საფუძველზე 2026 წლის 11 თებერვალს ხელი მოეწერა სასესხო შეთანხმების №2 ცვლილების წერილ-შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს სასესხო შეთანხმებით გათვალისწინებული სესხის დახურვის თარიღად 2028 წლის 30 სექტემბრის განსაზღვრასა (ნაცვლად 2025 წლის 30 დეკემბრისა) და ასევე, PRF აქტივობების დასრულების თარიღის გაგრძელებას 2028 წლის 31 მაისამდე (ნაცვლად 2025 წლის 31 აგვისტოსა). ასევე, წარმოდგენილი №2 ცვლილების წერილ-შეთანხმებით იცვლება სასესხო შეთანხმების 1.02 (თ), (ლ) და (ტ) პუნქტები, რითიც "საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო" (MRDI) ჩანაცვლდა მითითებებით „საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო" (MOI).

№2 ცვლილების წერილ-შეთანხმების ავტორია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ხოლო წარმდგენი საქართველოს მთავრობა.